## ო ქ მ ი №3

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სახდომისა, რომელიც ჩატარდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 18 აპრილს.

**სხდომა დაიწყო** 12:00 საათზე, დამთავრდა 12:45 საათზე.

**სხდომას ესწრებოდნენ:** სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები – ი. ქარდავა, ი. ცხვიტავა, მ. გვიჩია, ზ. ყურაშვილი, კ. ტორჩინავა, მ. ფირცხალავა, მ. მირცხულავა, ი. აბულაძე, ნ. ტყებუჩავა.

**ასევე ესწრებოდნენ:** ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" დირექტორი: მ. ბოჯგუა; შ.პ.ს. ,,სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანები"-ს დირექტორი: ა. ლომია. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლ. უჩანეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზ. ნაჭყებია.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** კომისიის თავმჯდომარე – ინგა ქარდავა.

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. შ.პ.ს. ,,სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანები"-ს მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხსენებელი: შ.პ.ს. ,,სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანები"-ს დირექტორი: ა. ლომია

2. შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხსენებელი: შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" დირექტორი: მ. ბოჯგუა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 9; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

**მოისმინა: 1. შ.პ.ს. ,,სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანები"-ს მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ**

მომხსენებელი: შ.პ.ს. ,,სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანები"-ს დირექტორი: ავ. ლომია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა შ.პ.ს. ,,სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანები"-ს 2023 წელს გაწეული საქმიანობა.

**აზრი გამოთქვეს:** მ. ფირცხალავამ, ზ, ნაჭყებიამ, ა. ლომიამ, ი. ქარდავამ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. შ.პ.ს. ,,სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანები"-ს 2023 წელს გაწეული საქმიანობა შეფასებულ იქნეს დადებითად.

2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი, რათა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

**მოისმინეს: 2. შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ**

მომხსენებელი: შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური
გაერთიანების" დირექტორი: მ. ბოჯგუა

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" 2023 წელს გაწეული საქმიანობა.

**აზრი გამოთქვეს:** მ. ფირცხალავამ, მ. გვიჩიამ, ზ, ნაჭყებიამ, მ. ბოჯგუამ, ი. ქარდავამ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 4) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

**1.** შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" 2023 წელს გაწეული საქმიანობა შეფასებულ იქნეს დადებითად.

**2.** ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი, რათა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თვმჯდომარე: ინგა ქარდავა